MED EL

გაკვეთილების კრებული

24 ჩემი ოჯახი



hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. საგვარეულო ხე

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. ბავშვის მოვლა

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. მამა თითი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ჩემი ოჯახი: პირველი დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

საგვარეულო ხე **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე	• ცნობს ოჯახის წევრების სახელებს	• იმეორებს ოჯახის წევრების სახელებს	• ამოიცნობს ბიჭს, გოგოს
ესმის ბავშვის მოვლის საჭიროების შესახებ **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საბავშვო პროდუქტები	• იმეორებს ან ამბობს ერთ სიტყვას: · საბავშვო პროდუქტები · ზმნა	• ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.
ვის ჰყავს...? საოჯახო თამაში **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 ა3	• შეუძლია ოჯახის წევრების აღნიშვნა	• იმეორებს ან ამბობს ოჯახის წევრების აღმნიშვნელ მარკირებებს	• ესმის, რომ სურათი არის აბსტრაქტული გამოსახულება
მამა თითი **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4	• უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს	• იყენებს კითხვით ინტონაციას	• ცდილობს წარმოთქვას "მე შენ მიყვარხარ".

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი ოჯახი: მეორე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

საგვარეულო ხე **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე	• მიჰყვება მარტივ მითითებებს	• აერთიანებს ოჯახის წევრის სახელს + ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვას	• ახდენს იდენტიფიცირებას: · ბიჭი, გოგო · კაცი, ქალი
ბავშვის მოვლა **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები	• განსაზღვრავს საგანს მისი დანიშნულების აღწერიდან	• იძლევა მინიშნებას საგნის გამოყენების შესახებ	• ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.
ვის ჰყავს...? საოჯახო თამაში **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ2 ა3	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას	• ორი საგნის დასაკავშირებლად იყენებს და კავშირს	• საუბრობს იმაზე, თუ როგორ არის სურათი აბსტრაქტული გამოსახულება
მამა თითი **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4	• უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს	• კითხულობს, “სად ხარ?”	• ამბობს, "მე შენ მიყვარხარ".

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი ოჯახი: მესამე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

საგვარეულო ხე **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე	• მიჰყვება სიგრძისა და სირთულის შესახებ მითითებებს	• იყენებს შედარებებსა და აღმატებით ხარისხებს	• ახდენს იდენტიფიცირებას: · ბიჭი, გოგო · კაცი, ქალი
ბავშვის მოვლა **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები	• განსაზღვრავს საგანს მისი დანიშნულების აღწერიდან	• იყენებს ფრაზას "მე მგონი.." • იძლევა მინიშნებას საგნის გამოყენების შესახებ	• ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.
ვის ჰყავს...? საოჯახო თამაში **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ2 ა3	• ახდენს ოთხი საგნის იდენტიფიცირებას	• ოთხი საგნის დასაკავშირებლად იყენებს და კავშირს • იყენებს მრავლობით რიცხვს	• საუბრობს მსგავსებაზე და განსხვავებებზე
მამა თითი **რესურსები** • ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4	• უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს	• კითხულობს, (სახელი) + “სად ხარ?”	• ამბობს, "მე შენ მიყვარხარ".

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. საგვარეულო ხე

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. თუ გინდათ დიდი ოჯახის ხის გაკეთება, შეიძლება დაგჭირდეთ დ1 დ2 დ3 ა1 ორ ეგზემპლარად ამობეჭდვა.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე
- მაკრატელი, წებო და ფერადი ფანქრები

თქვენ უნდა ააწყოთ ხის თავსატეხი, ხოლო შემდეგ შეავსოთ იგი ოჯახის წევრებით.

1. ბავშვთან ერთად ნახეთ ხის 4 ნაწილი (დ1 დ2 დ3 ა1 - ხე) და დაალაგეთ ისინი ხის ფორმის ასაწყობად. მიჰყევით ხეზე მითითებებს, მოაჭერით ზედმეტი თეთრი ქაღალდი და გადაფარეთ განმეორებული ხაზები. დააწებეთ შესაბამის ადგილას.
2. აუხსენით, რომ ადამიანების კონტურები ბავშვის ოჯახის წევრები არიან. დაიწყეთ ბავშვის მშობლისგან. გამოჭერით ქაღალდისგან ფიგურები და დაახატეთ დეტალები ისე, რომ ისინი (გარკვეულწილად) ბავშვის მშობლებს დაამსგავსოთ. დააწებეთ ისინი ხის შუა ნაწილთან ახლოს.
3. გამოჭერით ქაღალდისგან ადამიანები, რათა მიამსგავსოთ ბავშვს და მის დას ან ძმას. დახატეთ ნაკვთები და დააწებეთ ერთმანეთის მიყოლებით ხის ძირში.
4. მიყოლებით დაამატეთ ხის კენწეროზე ბებია და ბაბუა.

მოსალოდნელი შედეგები

- ცნობს ოჯახის წევრების სახელებს (მაგალითად: ავთო, თათია, მადინა, ბაბუა)

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მშობელთან/აღმზრდელთან ერთად ისაუბრეთ ოჯახის წევრების ნახატებზე. ოჯახის წევრების ნახატები განსხვავდება კულტურისა და ოჯახის ინდივიდუალური უპირატესობის გათვალისწინებით. საგვარეულო ხის აწყობისას, გამოიყენეთ ოჯახის წევრების სურათები და ისაუბრეთ მათზე შინაარსობრივ კონტექსტში.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ხელი შეუწყეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ეს აქტივობა სახლის პირობებში შეასრულოს, ინდივიდუალურად ბავშვთან ერთად შექმნან "შთაბეჭდილებების წიგნი", რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსმენისა და ენის კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ეს წიგნი შეიძლება ძალიან უბრალო და მარტივი იყოს, მაგალითად თითოეულ გვერდზე ოჯახის წევრის ფოტოსურათით.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ოჯახის წევრების სახელებს

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: დაასრულეთ მშობლების ნაკვთების დახატვა და შემდეგ დააწებეთ. აიღეთ ორივე სურათი და სთხოვეთ ბავშვს აირჩიოს, რომელი დააწებოთ პირველი. კარგი, აი დედა ... და... აი მამა. დედა გინდა დააწებო თუ მამა?

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ და ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: არ დააწებოთ სურათი მანამ, სანამ ბავშვი არ უპასუხებს ვარიანტებიან კითხვას ზუსტი ან სავარაუდო სახელის გამოყენებით. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ შეაქოს ბავშვის მცდელობა და შემდეგ სწორად გაიმეოროს ბავშვის მიერ ნათქვამი, რომ მან - თავის მხრივ, შეადაროს მისი პირველი მცდელობა შესწორებულ ნათქვამთან. ეს სტრატეგია ეხმარება ბავშვს შეიმუშაოს აუდიტორული უკუკავშირის ციკლი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ბიჭის, გოგოს იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ოჯახთან ერთად იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ ჯობია აუხსნათ ბავშვს ბიჭებსა და გოგონებს შორის განსხვავებები. ამ აქტივობაში გოგონა გამოირჩევა კაბის ტარებით, მაგრამ რა თქმა უნდა ვიცით, რომ მხოლოდ ჩაცმულობა არ არის განმსაზღვრელი. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის ოჯახში ბიჭი და ვინ გოგო და ბავშვი დამოუკიდებლად დაიწყებს სქესის მახასიათებლების განსაზღვრას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. საგვარეულო ხე

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. თუ გინდათ დიდი ოჯახის ხის გაკეთება, შეიძლება დაგჭირდეთ დ1 დ2 დ3 ა1 ორ ეგზემპლარად ამობეჭდვა.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე
- მაკრატელი, წებო და ფერადი ფანქრები

თქვენ უნდა ააწყოთ ხის თავსატეხი, ხოლო შემდეგ შეავსოთ იგი ოჯახის წევრებით.

1. ბავშვთან ერთად ნახეთ ხის 4 ნაწილი (დ1 დ2 დ3 ა1 - ხე) და დაალაგეთ ისინი ხის ფორმის ასაწყობად. მიჰყევით ხეზე მითითებებს, მოაჭერით ზედმეტი თეთრი ქაღალდი და გადაფარეთ განმეორებული ხაზები. დააწებეთ შესაბამის ადგილას.
2. აუხსენით, რომ ადამიანების კონტურები ბავშვის ოჯახის წევრები არიან. დაიწყეთ ბავშვის მშობლისგან. გამოჭერით ქაღალდისგან ფიგურები და დაახატეთ დეტალები ისე, რომ ისინი (გარკვეულწილად) ბავშვის მშობლებს დაამსგავსოთ. დააწებეთ ისინი ხის შუა ნაწილთან ახლოს.
3. გამოჭერით ქაღალდისგან ადამიანები, რათა მიამსგავსოთ ბავშვს და მის დას ან ძმას. დახატეთ ნაკვთები და დააწებეთ ერთმანეთის მიყოლებით ხის ძირში.
4. მიყოლებით დაამატეთ ხის კენწეროზე ბებია და ბაბუა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მარტივ მითითებებს

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: მეორე დონეზე მყოფ ბავშვს ალბათ უკვე შეუძლია დაადგინოს ოჯახის წევრების სახელები, ამიტომ გამოიყენეთ ეს სახელები და ჩასვით ორნაწილიან მითითებებში. ეს არის მამა. მოდი დავახატოთ მამას მოკლე თმა. და აი ეს არის დედა. ახლა დავახატოთ დედას გრძელი წამწამები.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ხელი შეუწყეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ეს აქტივობა სახლის პირობებში შეასრულოს, ინდივიდუალურად, ბავშვთან ერთად, შექმნას "შთაბეჭდილებების წიგნი", რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსმენისა და ენის კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ეს წიგნი შეიძლება ძალიან უბრალო და მარტივი იყოს. მაგალითად, თითოეულ გვერდზე ოჯახის წევრის ფოტოსურათით, რომელიც შემდგომ შეგიძლიათ გამოიყენოთ აღწერილობით მახასიათებლებზე სასაუბროთ.

მოსალოდნელი შედეგები

- აკავშირებს ოჯახის წევრს + ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვას (მაგალითად, ბაბუა ხის ზედა ნაწილში)

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: როდესაც ხე დაიწყებს ნელ-ნელა ქაღალდის ადამიანებით შევსებას, დაეხმარეთ ბავშვს ასაკის მიხედვით შედარების აზრის გაგებაში. ყველა მოხუცი ქაღალდის ადამიანი ხის ზედა ნაწილში უნდა იყოს, ყველაზე ახალგაზრდა - ხის ძირში. სალაპარაკო ენის მოდელირებისას გამოიყენეთ ისეთი ვარიანტები, რომლებიც საჭიროა სახელისა და ადგილმდებარეობის გაერთიანებისთვის. როგორ ფიქრობთ, ჩვენ დავამაგრებთ პატარა დაიკოს ხის ზედა ნაწილში თუ ხის ძირში?

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ და გავრცობა და განგრძობა: არ დააწებოთ სურათი მანამ, სანამ ბავშვი არ უპასუხებს ვარიანტებიან კითხვას სახელისა და ადგილმდებარეობის გამოყენებით. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ყურადღებით მოისმინოს პასუხი და კიდევ ერთხელ გაიმეოროს ბავშვის ნათქვამი გამოტოვებული სიტყვების დამატებით იმისათვის, რომ ბავშვმა შეადაროს თავისი პირველი მცდელობა მშობლის ვრცელ ნათქვამს. ეს სტრატეგია ეხმარება ბავშვს შეიმუშაოს აუდიტორული უკუკავშირის ციკლი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ბიჭის, გოგოს; კაცის, ქალის იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ოჯახთან ერთად იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ ჯობია აუხსნათ ბავშვს ბიჭებსა და გოგონებს შორის განსხვავებები. ამ აქტივობაში გოგონა გამოირჩევა კაბის ტარებით, მაგრამ რა თქმა უნდა ვიცით, რომ მხოლოდ ჩაცმულობა არ არის განმსაზღვრელი. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის ოჯახში ბიჭი ან კაცი და ვინ არის გოგო ან ქალი და ბავშვი დამოუკიდებლად დაიწყებს სქესის მახასიათებლების განსაზღვრას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. საგვარეულო ხე

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. თუ გინდათ დიდი ოჯახის ხის გაკეთება, შეიძლება დაგჭირდეთ დ1 დ2 დ3 ა1 ორ ეგზემპლარად ამობეჭდვა.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა1 ხე
- მაკრატელი, წებო და ფერადი ფანქრები

თქვენ უნდა ააწყოთ ხის თავსატეხი, ხოლო შემდეგ შეავსოთ იგი ოჯახის წევრებით.

1. ბავშვთან ერთად ნახეთ ხის 4 ნაწილი (დ1 დ2 დ3 ა1 - ხე) და დაალაგეთ ისინი ხის ფორმის ასაწყობად. მიჰყევით მითითებებს, მოაჭერით ზედმეტი თეთრი ქაღალდი და გადაფარეთ განმეორებული ხაზები. დააწებეთ შესაბამის ადგილას.
2. აუხსენით, რომ ადამიანების კონტურები ბავშვის ოჯახის წევრები არიან. დაიწყეთ ბავშვის მშობლისგან. გამოჭერით ქაღალდისგან ფიგურები და დაახატეთ დეტალები ისე, რომ ისინი (გარკვეულწილად) ბავშვის მშობლებს დაამსგავსოთ. დააწებეთ ისინი ხის შუა ნაწილთან ახლოს.
3. გამოჭერით ქაღალდისგან ადამიანები, რათა მიამსგავსოთ ბავშვს და მის დას ან ძმას. დახატეთ ნაკვთები და დააწებეთ ერთმანეთის მიყოლებით ხის ძირში.
4. მიყოლებით დაამატეთ ხის კენწეროზე ბებია და ბაბუა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება სიგრძისა და სირთულის შესახებ მითითებებს

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: დაეხმარეთ მესამე დონეზე მყოფ ბავშვს მოსმენისა და გაგების უნარის განვითარებაში ამ აქტივობაში უფრო გრძელი მითითებებისა და უფრო რთული ცნებების გამოყენებით. იმისათვის, რომ ნებისმიერი ახალი აზრი გახდეს ბავშვისთვის უფრო გასაგები, ჯერ მოსმენით მიეცით მითითებები, შემდეგ კი დაამატეთ ჟესტი. რადგან ბაბუა მამის მამაა, შენ აწებებ მას ზედა მარცხენა კუთხეში ... აქ ... მამას ზემოთ.

წიგნები, წიგნები, წიგნები:ხელი შეუწყეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ეს აქტივობა სახლის პირობებში შეასრულოს, ინდივიდუალურად, ბავშვთან ერთად, შექმნას "შთაბეჭდილებების წიგნი", რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსმენისა და ენის კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ეს წიგნი შეიძლება ძალიან უბრალო და მარტივი იყოს. მაგალითად, თითოეულ გვერდზე ოჯახის წევრის ფოტოსურათით, რომელიც შემდგომ შეგიძლიათ გამოიყენოთ აღწერილობით მახასიათებლებზე სასაუბროთ.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს შედარებებსა და აღმატებით ხარისხებს (მაგალითად, უფროსი, მოხუცი)

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები:როდესაც ხე დაიწყებს ნელ-ნელა ქაღალდის ადამიანებით შევსებას, დაეხმარეთ ბავშვს ასაკის მიხედვით შედარების აზრის გაგებაში. ყველა მოხუცი ქაღალდის ადამიანი ხის ზედა ნაწილში უნდა იყოს, ყველაზე ახალგაზრდა - ხის ძირში. საინტერესოა ვინ არის უფრო მოხუცი, ბაბუა თუ ბებია. ჰკითხეთ დედას, ვინ არის ყველაზე მოხუცი.

გავრცობა და განგრძობა: მიაწოდეთ ბავშვს შედარების გასაკეთებლად საჭირო სალაპარაკო ენის მოდელების სხვადასხვა ვარიანტები, გამოიყენეთ შედარებები და აღმატებით ხარისხები. დაწებებისას ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ განთავსდება თითოეული ადამიანი ხეზე. ასე რომ, ბაბუა მამაზე უფროსია. დედა მამაზე ახალგაზრდაა, ხოლო ნენე შენზე უფროსია. ეს ნიშნავს, რომ შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ბიჭის, გოგოს; კაცის, ქალის იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ოჯახთან ერთად იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ ჯობია აუხსნათ ბავშვს ბიჭებსა და გოგონებს შორის განსხვავებები. ამ აქტივობაში გოგონა გამოირჩევა კაბის ტარებით, მაგრამ რა თქმა უნდა ვიცით, რომ მხოლოდ ჩაცმულობა არ არის განმსაზღვრელი. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ არის ოჯახში ბიჭი ან კაცი და ვინ არის გოგო ან ქალი და ბავშვი დამოუკიდებლად დაიწყებს სქესის მახასიათებლების განსაზღვრას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. საგვარეულო ხე

ნაბიჯი 2: წაუსვით აქ წებო და დააწებეთ ხის ზედა მარჯვენა ნაწილი.

ნაბიჯი 3: წაუსვით აქ წებო და დააწებეთ ხის ქვედა მარცხენა ნაწილი.

ნაბიჯი 1: მოქნილით ზედმეტი ქაღალდი.

ნაბიჯი 4: წაუსვით აქ წებო და დააწებეთ ხის ქვედა მარჯვენა ნაწილი.

1. საგვარეულო ხე

ნაბიჯი 1: მოჭერით ზედმეტი ქაღალდი.

ნაბიჯი 3: წაუსვით აქ წებო და დააწებეთ აქ ხის ქვედა მარჯვენა ნაწილი.

1. საგვარეულო ხე

ნაბიჯი 1: მოქერით ზედმეტი ქაღალდი.

ნაბიჯი 2: მოქერით ზედმეტი ქაღალდი.

1. საგვარეულო ხე



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ბავშვის მოვლა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბინგოს მსგავსი თამაში.

1. თქვენ გაქვთ 3 მოთამაშის დაფა. თუ გაკვეთილზე სამზე მეტი მოთამაშეა, გადაწყვიტეთ ვინ დაარიგებს. თითოეულ მოთამაშეს მიეცით ერთი დაფა (ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 [I/II/III]).
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით სათამაშო ბარათები და ისაუბრეთ ყველა იმ ნივთზე, რომელიც სჭირდებათ პატარებს.
3. აურიეთ სათამაშო ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ ერთი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით რა არის მასზე გამოსახული. ყველა მოთამაშე უყურებს თავის დაფას და უყურებს, აქვს თუ არა მათ ეს ნივთი. მოთამაშე, რომელსაც აქვს ეს ნივთი, იღებს სურათს და ათავსებს მას დაფაზე არსებულ შესაბამის საგანზე.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათი და ისაუბრეთ მასზე. გააგრძელეთ მანამ, სანამ ყველა სათამაშო ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: საბავშვო პროდუქტები

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: დამალეთ სურათი, როდესაც მასზე საუბრობთ და დაეხმარეთ ბავშვს ყურადღება გაამახვილოს აუდიტორულ ინფორმაციაზე. თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები ან მოიყენოთ შესაბამისი ხმები, რათა მიაწოდოთ ბავშვს დამატებითი ინფორმაცია და სიტყვებს შორის ასოციაციები და ამით დაეხმაროთ მას სიტყვების მარტივად დამახსოვრებაში. მე მაქვს აკვანი... შშშ. ბავშვი დაწვა თავის საწოლში... დასაძინებლად.

სმენითი სენდვიჩი: ეს აქტივობა შეიცავს უამრავ სიტყვას, მათ შორის 18 არსებით სახელს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მოვლასთან. პირველ დონეზე მყოფ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს ყველა ამ სიტყვის დამახსოვრება, ამიტომ ჯერასწავლეთ როგორ უნდა თქვას და მერე აჩვენეთ (სურათი), შემდეგ კვლავ წარმოთქვით ეს სიტყვა. ასეთი სახის აქტივობა სწავლებაა და არა ტესტირება.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან ამბობს ერთ სიტყვას:
  - საბავშვო პროდუქტები
  - ზმნა (მაგალითად: ძილი, ჭამა, თამაში)

ძირითადი სტრატეგია

ყურადღებით მოუსმინე და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: ისაუბრეთ თითოეულ სათამაშო ბარათზე და დაელოდეთ ბავშვის მიერ გამეორების მცდელობას. ისეთი ზმნის დამატება, რომელიც დაეხმარება ბავშვს სიტყვებს შორის ასოციაციების შექმნაში არის სტრატეგია, რომელიც ეხმარება სიტყვების მარაგის გამყარებაში. ეს არის ბავშვის სათამაშო ჩხარუნა... შეანჯღრიე, შეანჯღრიე, შეანჯღრიე.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაიწყეთ ადრე, თუნდაც პირველ დონეზე მყოფ ბავშვთან, ისაუბრეთ ემოციებზე და რა იწვევს მათ, რათა დაეხმაროთ ბავშვებს გონების თეორიის განვითარებაში და ასწავლოთ დახმარების გაწევა. ვაჰ! ვაჰ! მე მგონი ბავშვს შესცივდა. მოდით მივცეთ მას ეს საბანი. - ახლა ის თბილადაა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ბავშვის მოვლა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბინგოს მსგავსი თამაში.

1. თქვენ გაქვთ 3 მოთამაშის დაფა. თუ გაკვეთილზე სამზე მეტი მოთამაშეა, გადაწყვიტეთ ვინ დაარიგებს. თითოეულ მოთამაშეს მიეცით ერთი დაფა (ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 [I/II/III]).
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით სათამაშო ბარათები და ისაუბრეთ ყველა იმ ნივთზე, რომელიც სჭირდებათ პატარებს. აღნიშნეთ ნივთები და ისაუბრეთ იმაზე, თუ რაში სჭირდებათ ეს ნივთები ბავშვს.
3. აურიეთ სათამაშო ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ ერთი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით რისთვის გამოიყენება. ყველა მოთამაშე უყურებს თავის დაფას და უყურებენ აქვს თუ არა მათ ეს ნივთი. მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ნივთი კითხვის დასმით: "ეს არის ...?" და თუ სწორია, იღებს სურათს და ათავსებს მას დაფაზე არსებულ შესაბამის საგანზე. თუ არ არის სწორი, სხვა მოთამაშეებმა უნდა გამოიცნონ.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათი და ისაუბრეთ მასზე. გააგრძელეთ მანამ, სანამ ყველა სათამაშო ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ამოიცნობს ნივთის დანიშნულების შესახებ მინიშნებით (მაგალითად, ბავშვი ატარებს მას, რომ სუფთად იყოს ჭამის დროს).

ძირითადი სტრატეგია

სმენითი სენდვიჩი და ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ეს აქტივობა შეიცავს უამრავ სიტყვას. მათ შორის - 18 არსებით სახელს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მოვლასთან და თითქმის იმდენივე სხვადასხვა დანიშნულებაა აღწერილი. ჩვილ ბავშვებს ბევრი მოვლა სჭირდებათ. მეორე დონეზე მყოფ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს ყველა ამ სიტყვის დამახსოვრება, ამიტომ ჯერასწავლეთ როგორ უნდა თქვას და მერე აჩვენეთ (სურათი), შემდეგ კვლავ წარმოთქვით ეს სიტყვა. ასეთი სახის აქტივობა სწავლებაა და არა ტესტირება. დააკავშირეთ ერთმანეთს ნივთის სახელი და მისი დანიშნულების აღწერისთვის გამოყენებული სიტყვები. საუბარი იმაზე, თუ როგორ უკავშირდება სიტყვები ერთმანეთს, ეხმარება ბავშვს სიტყვების დამახსოვრების საკუთარი სტრატეგიის შემუშავებაში.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მინიშნებას საგნის გამოყენების შესახებ (მაგალითად, მასში ძილი)

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება და ვარიანტები: როდესაც დგება ბავშვის მიერ ბარათის აღების ჯერი, ის ინსტინქტურად აღნიშავს სურათზე მოცემულ ნივთს. (არსებითი სახელების აღნიშვნა უფრო გასაგები ამოცანაა, ვიდრე მასთან დაკავშირებული ზმნის ამოცნობა.) გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები და სთხოვეთ ბავშვს დაიცადოს, მოუსმინოს და იფიქროს. დაიცადე. ნუ გვეტყვი რა არის. იფიქრე. შენ უნდა გვითხრა, რისთვის არის ეს განკუთვნილი. იქნებ ბავშვი მისი მეშვეობით ჭამს ან იქნებ ბავშვს ამით სძინავს?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ემოციებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ეხმარება ბავშვებს გონების თეორიის განვითარებაში და ასწავლის დახმარების გაწევას. ბავშვს ეს სჭირდება, როდესაც მას ცივა. იქნებ ბავშვს არ შეუძლია დაძინება, რადგან მას ძალიან სცივა. მოდით მივცეთ მას ეს საბანი. ახლა ის თბილად არის და მას შეუძლია დაძინება. ესე უკეთესია.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ბავშვის მოვლა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (I)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (II)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III)
- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 (III) სათამაშო ბარათები
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბინგოს მსგავსი თამაში.

1. თქვენ გაქვთ 3 მოთამაშის დაფა. თუ გაკვეთილზე სამზე მეტი მოთამაშეა, გადაწყვიტეთ ვინ დაარიგებს. თითოეულ მოთამაშეს მიეცით ერთი დაფა (ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა2 [I/II/III]).
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით სათამაშო ბარათები და ისაუბრეთ ყველა იმ ნივთზე, რომელიც სჭირდებათ პატარებს. აღნიშნეთ ნივთები და ისაუბრეთ იმაზე, თუ რაში სჭირდებათ ეს ნივთები ბავშვს.
3. აურიეთ სათამაშო ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად, გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ ერთი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე, თქვით რისთვის გამოიყენება. ყველა მოთამაშე უყურებს თავის დაფას და უყურებს, აქვს თუ არა მას ეს ნივთი. მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ნივთი კითხვის დასმით: "ეს არის ...?" და თუ სწორია, იღებს სურათს და ათავსებს მას დაფაზე არსებულ შესაბამის საგანზე. თუ არ არის სწორი - სხვა მოთამაშეებმა უნდა გამოიცნონ.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათი და ისაუბრეთ მასზე. გააგრძელეთ მანამ, სანამ ყველა სათამაშო ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ამოიცნობს ნივთის დანიშნულების შესახებ მინიშნებით (მაგალითად, ბავშვი ატარებს მას, რომ სუფთად იყოს ჭამის დროს).

ძირითადი სტრატეგია

სმენითი სენდვიჩი და ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ეს აქტივობა შეიცავს უამრავ სიტყვას. მათ შორის 18 არსებით სახელს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მოვლასთან და აღწერს თითქმის იმდენივე სხვადასხვა დანიშნულებას. ჩვილ ბავშვებს ბევრი მოვლა სჭირდებათ და მესამე დონეზე მყოფ ბავშვს შეიძლება არ ჰქონდეს მასზე ზრუნვის გამოცდილება, ამიტომ ზოგიერთი სიტყვა შეიძლება მისთვის ახალი იყოს. ჯერ თქვით, მერე აჩვენეთ (სურათი), შემდეგ კვლავ წარმოთქვით ეს სიტყვა. ასეთი სახის აქტივობა სწავლებაა და არა ტესტირება. დააკავშირეთ ერთმანეთს ნივთის სახელი და მისი დანიშნულების აღწერისთვის გამოყენებული სიტყვები. საუბარი იმაზე, თუ როგორ უკავშირდება სიტყვები ერთმანეთს, ეხმარება ბავშვს სიტყვების დამახსოვრების საკუთარი სტრატეგიის შემუშავებაში.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ფრაზას "მე მგონი.."
- იძლევა მინიშნებას საგნის გამოყენების შესახებ (მაგალითად, მასში ძილი)

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: ასწვლეთ, როგორ უნდა დაიწყოთ თქვენთვის მინიშნების გაკეთება ფრაზით “მე მგონი/ვფიქრობ...” ფიქრი არის სტატიკური ზმნა. იმის გაგება, რომ ადამიანი ამ სიტყვას იყენებს მაშინ, როდესაც არ არის დარწმუნებული, დაეხმარება ბავშვს სხვა ადამიანების ფიქრების გააზრებაში. მე მგონი ამას დედა ან მამა იყენებს ბავშვის ტირილის შესაწყვეტად.

გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება და ვარიანტები: როდესაც დგება ბავშვის მიერ ბარათის აღების ჯერი, ის ინსტინქტურად აღნიშავს სურათზე მოცემულ ნივთს.გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები და სთხოვეთ ბავშვს დაიცადოს, მოუსმინოს და იფიქროს. დაიცადე. ნუ გვეტყვი რა არის. შენ უნდა გვითხრა, რისთვის არის ეს განკუთვნილი. იქნებ ბავშვი ამის მეშვეობით ჭამს ან იქნებ ბავშვს ამით სძინავს? გვითხარი რას ფიქრობ.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ცვლილება.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ემოციებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ეხმარება ბავშვებს გონების თეორიის განვითარებაში და ასწავლის დახმარების გაწევას. ვფიქრობ, რომ ეს ბავშვს სჭირდება, როდესაც მას სცივა და დაიღალა. იქნებ ბავშვს არ შეუძლია დაძინება, რადგან მას ძალიან სცივა. მოდით მივცეთ მას ეს საბანი. ახლა ის თბილად არის და მას შეუძლია დაძინება.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ბავშვის მოვლა



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ბავშვის მოვლა



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ბავშვის მოვლა



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ბავშვის მოვლა



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

მომზადება

ამობეჭდეთ ჩემი ოჯახი დ1 ა3 პატარა ზომის ბარათზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბარათების თამაში ოჯახის წევრების შესახებ.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით წითელი ჩარჩოში ჩასმული ბარათები.
   ისაუბრეთ ოჯახის წევრებზე, შემდეგ აურიეთ ბარათები და დაურიგეთ მოთამაშეებს, გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით ნაცრისფერი ჩარჩოში ჩასმული ბარათები. აურიეთ ბარათები და დაალაგეთ დასტად მაგიდის შუაში, გამოსახულებით ქვემოთ. ეს ბარათები არის სათამაშო ბარათები.
3. აიღეთ სათამაშო ბარათი და იკითხეთ: ”ვის ჰყავს (ოჯახის წევრი)?”
4. მოთამაშეები უყურებენ თავიანთ ბარათებს და ვისაც ეს ბარათი აღმოაჩნდება, ის ხმამაღლა აცხადებს: "მე", აიღებს ბარათს და ალაგებს წყვილს მის წინ.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათები და დასვით კითხვები.
6. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მანამ, სანამ ყველა ბარათის წყვილი არ მოიძებნება.
   შენიშვნა: პატარა ბავშვებისთვის ან დამატებითი ინვალიდობის მქონე ბავშვებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ თამაშის იდეა და დაბეჭდოთ ბარათები ბავშვის რეალური ოჯახის სურათებით.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია ოჯახის წევრების აღნიშვნა

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ მშობლები/აღმზრდელები, რომ გაიმეორონ სიტყვები (ბევრჯერ) შინაარსობრივ კონტექსტში, რათა დაეხმარონ ბავშვს ოჯახის წევრებისა და მათი სახელების დაკავშირებაში.

სმენითი სენდვიჩი: გამოიყენეთ მეთოდი "ყურადღებით მოუსმინე", რომ ჰკითხოთ მას ბარათზე არსებული ადამიანის შესახებ. ბარათის ჩვენებამდე დაამატეთ მინიშნება, რაც დაეხმარება ბავშვს სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში. ბარათზე არსებული ოჯახის წევრის მინიშნება შეიძლება იყოს თვალებით ან ჟესტით კონკრეტული რეალური ადამიანის მიმართ, მაგალითად, თუ ოთახში დედა, მამა ან უმცროსი და იმყოფება. შემდეგ, ბარათის ჩვენებამდე, კვლავ გაიმეორეთ კითხვა.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ან ამბობს ოჯახის წევრების აღმნიშვნელ მარკირებებს

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, რომ დაუსვას ბავშვს მთლიანი კითხვა: "ვის ჰყავს (ოჯახის წევრი)?", ოღონდ მარტო სახელზე და არა კითხვით სიტყვაზე აქცენტირებით. პირველ დონეზე მყოფ ბავშვს გაუჭირდება მთლიანი კითხვის გამეორება, მაგრამ მაინც სასარგებლოა მისთვის სალაპარაკო ენის ბუნებრივ კონტექსტში მოსმენა. სალაპარაკო ენის მოდელის მიწოდების შემდეგ, სთხოვეთ ყველა მოთამაშეს, საკუთარი ბარეთის ნახვამდე, დაელოდონ ბავშვის მცდელობას წარმოთქვას სურათზე გამოსახული ოჯახის წევრი.

გამოიყენეთ ვარიანტები: მას შემდეგ, რაც ბავშვი დაიწყებს სურათების გაგებას, შეეცადეთ გამოიყენოთ ვარიანტებიანი შეკითხვები, რომ გაიგოთ რა იცის ბავშვმა. ჰმ, შენი აზრით ეს მამაა თუ ძმა?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ სურათი არის აბსტრაქტული გამოსახულება

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრების სურათები საერთოდ არ ჰგავდეს ბავშვის ოჯახს. სთხოვეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ ესაუბრონ ბავშვს იმაზე, რომ ჩვენ ვიყენებთ სურათებს რაღაცის/ვიღაცის საჩვენებლად და არ არის აუცილებელი, რომ ეს სურათი ამ რაღაცის/ვიღაცის იდენტური იყოს. ოჰ, ეს უნდა იყოს ბებია. ის არ ჰგავს შენს ბებიას. შენს ბებიას შავი თმა აქვს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

მომზადება

ამობეჭდეთ ჩემი ოჯახი d2 a3 პატარა ზომის ბარათზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი d2 a3
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბარათების თამაში ოჯახის წევრების შესახებ.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით წითელი ჩარჩოში ჩასმული ბარათები. ისაუბრეთ ოჯახის წევრებზე, შემდეგ აურიეთ ბარათები და დაურიგეთ მოთამაშეებს გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით ნაცრისფერი ჩარჩოში ჩასმული ბარათები. აურიეთ ბარათები და დაალაგეთ დასტად მაგიდის შუაში, გამოსახულებით ქვემოთ. ეს ბარათები არის სათამაშო ბარათები.
3. აიღეთ სათამაშო ბარათი და იკითხეთ: ”ვის ჰყავს (ოჯახის წევრი)?”
4. მოთამაშეები უყურებენ თავიანთ ბარათებს და ვისაც ეს ბარათი აღმოაჩნდება, ის ხმამაღლა აცხადებს: "მე მყავს (ოჯახის წევრი)", აიღებს ბარათს და ალაგებს წყვილს მის წინ.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათი და დასვით კითხვები.
6. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მანამ, სანამ ყველა ბარათის წყვილი არ მოიძებნება.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია ორი საგნის ამოცნობა (მაგალითად, ძმა და უმცროსი და)

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ მშობლები/აღმზრდელები, რომ გაიმეორონ სიტყვები (ბევრჯერ) შინაარსობრივ კონტექსტში, რათა დაეხმარონ ბავშვს ოჯახის წევრებისა და მათი სახელების დაკავშირებაში. შესაძლოა ბავშვის საკუთარ ოჯახში არ იყოს ოჯახის ყველა ეს წევრი. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა გაიგოს ახალი სიტყვები, ამიტომ უფრო ხშირად ასწავლეთ, ვიდრე გამოცდით.

სმენითი სენდვიჩი: გამოიყენეთ მეთოდი "ყურადღებით მოუსმინე", რომ ჰკითხოთ ბარათზე არსებული ადამიანის (ადამიანების) შესახებ. ბარათის ჩვენებამდე დაამატეთ მინიშნება, რაც დაეხმარება ბავშვს სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში. ბარათზე გამოსული ოჯახის წევრის მინიშნება შეიძლება იყოს თვალებით ან ჟესტით კონკრეტული რეალური ადამიანის მიმართ, მაგალითად, თუ ოთახში დედა, მამა ან უმცროსი და იმყოფება. შემდეგ, ბარათის ჩვენებამდე, კვლავ გაიმეორეთ კითხვა.

მოსალოდნელი შედეგები

- ორი საგნის დასაკავშირებლად იყენებს და კავშირს

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: გამოიყენეთ ისეთი აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი, როგორიცაა სიტყვების ხაზგასმა, საუბრის ტემპის შენელება და ინტონაციური ცვლილებები, რათა ყურადღება მიიპყროთ გრამატიკულ ელემენტებზე, რომელთა გამოვლენა ბავშვისთვის საკმაოდ რთულია. შეიძლება გინდოდეთ კითხვითი სიტყვების მითითება ვის ჰყავს…? ან შეიძლება მოინდომოთ და კავშირზე აქცენტირება (მაგალითად: და და ძმა).

გამოიყენეთ ვარიანტები: გრამატიკული სტრუქტურების სწავლისას, ვარიანტების გამოყენება აძლევს ბავშვებს ორმაგ შანსს, რომ მოისმინონ სიტყვები მანამ, სანამ ეცდება მის წარმოთქმას. ეს ბაბუა და ბებია არის თუ ბაბუა და მამა?

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს იმაზე, თუ როგორ არის სურათი აბსტრაქტული გამოსახულება

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრების სურათები საერთოდ არ ჰგავდეს ბავშვის ოჯახს. სთხოვეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ ესაუბრონ ბავშვს იმაზე, რომ ჩვენ ვიყენებთ სურათებს რაღაცის/ვიღაცის საჩვენებლად და არ არის აუცილებელი, რომ ეს სურათი ამ რაღაცის/ვიღაცის იდენტური იყოს. ოჰ, ეს უნდა იყოს ბებია. ის არ ჰგავს შენს ბებიას. შენს ბებიას შავი თმა აქვს, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ვითომ ესეთია შენი ბებია. წარმოდგება არის თამაშის უნარებისა და გონების თეორიის განვითარების შესანიშნავი გზა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

მომზადება

ამობეჭდეთ ჩემი ოჯახი დ3 ა3 პატარა ზომის ბარათზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ3 ა3
- მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ ბარათების თამაში ოჯახის წევრების შესახებ.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით წითელი ჩარჩოში ჩასმული ბარათები. ისაუბრეთ ოჯახის წევრებზე, შემდეგ აურიეთ ბარათები და დაურიგეთ მოთამაშეებს გამოსახულებით ქვემოთ.
2. ბავშვთან ერთად ამოჭერით ნაცრისფერი ჩარჩოში ჩასმული ბარათები. აურიეთ ბარათები და დაალაგეთ დასტად მაგიდის შუაში, გამოსახულებით ქვემოთ. ეს ბარათები არის სათამაშო ბარათები.
3. აიღეთ სათამაშო ბარათი და იკითხეთ: ”ვის ჰყავს (ჩამოთვალეთ ოჯახის წევრები)?”
4. მოთამაშეები უყურებენ თავიანთ ბარათებს და ვისაც ეს ბარათი აღმოაჩნდება, ის ხმამაღლა აცხადებს: "მე მყავს (ოჯახის წევრი)", აიღებს ბარათს და ალაგებს წყვილს მის წინ.
5. მორიგეობით აიღეთ სათამაშო ბარათი და დასვით კითხვები.
6. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მანამ, სანამ ყველა ბარათის წყვილი არ მოიძებნება.

მოსალოდნელი შედეგები

- შეუძლია ორი საგნის ამოცნობა (მაგალითად, ორი ბაბუა და ერთი ბებია)

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი სენდვიჩი: გამოიყენეთ მეთოდი "ყურადღებით მოუსმინე", რომ ჰკითხოთ ბარათზე არსებული ადამიანების შესახებ. ბარათის ჩვენებამდე დაამატეთ მინიშნება, რაც დაეხმარება ბავშვს სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში. ბარათზე გამოსული ოჯახის წევრის მინიშნება შეიძლება იყოს თვალებით ან ჟესტით კონკრეტული რეალური ადამიანის მიმართ, მაგალითად, თუ ოთახში დედა, მამა ან უმცროსი და იმყოფება. შემდეგ, ბარათის ჩვენებამდე, კვლავ გაიმეორეთ კითხვა.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: გააგრძელეთ საუბარი და ახსენეთ, თუ როგორ განსხვავდებიან ოჯახები ერთმანეთისგან. ზოგიერთ ბავშვს 4 ბებია და ბაბუა ჰყავს, ზოგიერთს კი არც ერთი. შეგიძლიათ ისაუბროთ იმ სხვადასხვა სახელებზე, რომლებსაც ბავშვები ბებიასა და ბაბუას ეძახიან. საინტერესოა სხვისი ოჯახების შესახებ გაგება.

მოსალოდნელი შედეგები

- ოთხი საგნის დასაკავშირებლად იყენებს და კავშირს
- იყენებს მრავლობით რიცხვს; (მაგალითად, დები).

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: გამოიყენეთ ისეთი აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი, როგორიცაა სიტყვების ხაზგასმა, საუბრის ტემპის შენელება და ინტონაციური ცვლილებები, რათა ყურადღება მიიპყროთ გრამატიკულ ელემენტებზე, რომელთა გამოვლენა ბავშვისთვის საკმაოდ რთულია. ვა! ვის ჰყავს ორი უმცროსი და ... და ორი უმცროსი ძმა?

გამოიყენეთ ვარიანტები: მიაწოდეთ ბავშვს ადამიანების ჯგუფების სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალის მოდელები. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ 4 ბებია და ბაბუა ან 2 ბაბუა და 2 ბებია.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს მსგავსებაზე და განსხვავებებზე

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრების სურათები საერთოდ არ ჰგავდეს ბავშვის ოჯახს. სთხოვეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ ისაუბრონ სურათზე არსებულ მახასიათებლებზე, რომლებიც ემთხვევა ან განსხვავდება ბავშვის ოჯახის წევრების მახასიათებლებისაგან. შენს ბებიას თმა უკან აქვს გადაწეული, როგორც ამ ბებიას, მაგრამ შენს ბებიას შავი თმა აქვს და არა ჭაღარა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში

















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ვის ჰყავს ...? საოჯახო თამაში



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. მამა თითი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და წიგნის დასამზადებლად დაასტეპლერეთ ერთმანეთზე.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4
- სტეპლერი და შავი ფლომასტერი

თქვენ ერთად უნდა დაამზადოთ წიგნი და შემდეგ იმღეროთ სიმღერა.

1. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე.
2. აჩვენეთ როგორ ჰგავს წიგნში არსებულს.
3. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარჯვენა ხელის თითზე, შემდეგ გადაიყვანეთ თითიდან ნახატი წიგნის პირველ გვერდზე მოცემულ იგივე თითზე. დაარქვით მას მამა თითი.
4. წაიკითხეთ სტრიქონები პირველ გვერდზე, ნახატებზე და ბავშვის თითებზე მითითებით.
5. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მარჯვენა ხელის დანარჩენი თითებისთვის, დახატეთ სახეები და გადაიყვანეთ თითოეულ გვერდზე შესაბამის წრეზე; შემდეგ წაიკითხეთ ტექსტები.
6. როდესაც დაასრულებთ წიგნის აწყობას, იმღერეთ სიმღერა და აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაიჭიროს მარცხენა საჩვენებელი თითი, როგორ უნდა აქანაოს ან დახაროს იგი და დასვით წიგნის ყოველ გვერდზე მითითებული შეკითხვა. შემდეგ, პასუხის გასაცემად გამოდის მეორე ხელი, რომელიც სწორე თითს აჩვენებს. შემდეგ საჩვენებელი თითი იხრება და პასუხობს: "მე შენ მიყვარხარ". იპოვნეთ სიმღერა "მამა თითი" მისი მელოდიის გასაგებად.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: კითხვებს სხვადასხვა მაღალსეგმენტიანი სიგნალი აქვს, ხოლო რიტმისა და ინტონაციის ცვლილებები ამ მარტივ სიმღერაში შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებების საჩვენებლად. შეგიძლიათ დააკვირდეთ, როგორ უერთდებიან მაღალსეგმენტიან სიგნალებს პირველ დონეზე მყოფი ბავშვები ან როგორ მოძრაობენ მათი სხეულები, რათა აჩვენონ, რომ ისინი გრძნობენ რიტმს.

აკუსტიკური აქცენტირება: მსგავსი საბავშვო სიმღერები მელოდიისა და გამეორების გამო შეიცავენ ბევრ აკუსტიკურ აქცენტებს. დაეხმარეთ ბავშვს ოჯახის წევრების სახელების ამოცნობაში მათზე ცალკე ყურადღების გამახვილებით. ეს თითი არის დედიკო. ახლა ჩვენ უნდა დავიძახოთ - დედიკო. მოემზადე... დედა თითო, დედა თითო, სად ხარ?

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს კითხვით ინტონაციას

ძირითადი სტრატეგია

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ და ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: სიმღერაში კითხვის მოდელირების შემდეგ გამოიყენეთ "მომლოდინეს მზერა" და დაელოდეთ, გაიმეორებს თუ არა ბავშვი შეკითხვის ინტონაციას. შეკითხვის ინტონაციას ტონის უფრო მაღალი ცვლილება აქვს ვიდრე მტკიცებას და, როგორც წესი, მთავრდება ინტონაციის ზრდით. ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვის მცდელობას და აცნობეთ მშობელს/აღმზრდელს, თუ შეამჩნევთ, რომ ბავშვი ამსგავსებს კითხვის მაღალსეგმენტიან სიგნალებს.

მოსალოდნელი შედეგები

- ცდილობს წარმოთქვას "მე შენ მიყვარხარ".

ძირითადი სტრატეგია

მომიახლოვდი: ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ბავშვთან ახლოს დასხდნენ სიტყვების მე შენ მიყვარხარ წამღერების დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვებია კავშირის დასამყარებლად და შეიცავენ მძლავრ მაღალსეგმენტიან სიგნალებს, რომლებიც ემოციას გამოხატავს. ჩვემ გვესმის სიყვარულის შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. მამა თითი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაასტეპლერეთ ერთმანეთზე წიგნის დასამზადებლად.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4
- სტეპლერი და შავი ფლომასტერი

თქვენ ერთად უნდა დაამზადოთ წიგნი და შემდეგ იმღეროთ სიმღერა.

1. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე.
2. აჩვენეთ როგორ ჰგავს წიგნში არსებულს.
3. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარჯვენა ხელის თითზე, შემდეგ გადაიყვანეთ თითიდან ნახატი წიგნის პირველ გვერდზე მოცემულ იგივე თითზე. დაარქვით მას მამა თითი.
4. წაიკითხეთ სტრიქონები პირველ გვერდზე, ნახატებზე და ბავშვის თითებზე მითითებით.
5. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მარჯვენა ხელის დანარჩენი თითებისთვის, დახატეთ სახეები და გადაიყვანეთ თითოეულ გვერდზე შესაბამის წრეზე; შემდეგ წაიკითხეთ ტექსტები.
6. როდესაც დაასრულებთ წიგნის აწყობას, იმღერეთ სიმღერა და აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაიჭიროს მარცხენა საჩვენებელი თითი, როგორ უნდა აქანაოს ან დახაროს იგი და დასვით წიგნის ყოველ გვერდზე მითითებული შეკითხვა. შემდეგ, პასუხის გასაცემად გამოდის მეორე ხელი, რომელიც სწორე თითს აჩვენებს. შემდეგ საჩვენებელი თითი იხრება და პასუხობს: "მე შენ მიყვარხარ". იპოვნეთ სიმღერა "მამა თითი" მისი მელოდიის გასაგებად.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: კითხვებს სხვადასხვა მაღალსეგმენტიანი სიგნალი აქვს, ხოლო რიტმისა და ინტონაციის ცვლილებები ამ მარტივ სიმღერაში შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებების საჩვენებლად. შეგიძლიათ დააკვირდეთ, როგორ უერთდებიან მაღალსეგმენტიან სიგნალებს მეორე დონეზე მყოფი ბავშვები ან როგორ მოძრაობენ მათი სხეულები, რათა აჩვენონ, რომ ისინი გრძნობენ რიტმს.

აკუსტიკური აქცენტირება: მსგავსი საბავშვო სიმღერები მელოდიისა და გამეორების გამო შეიცავენ ბევრ აკუსტიკურ აქცენტებს. დაეხმარეთ ბავშვს ოჯახის წევრების სახელების ამოცნობაში მათზე ცალკე ყურადღების გამახვილებით და ოდნავ ხმამაღალი ხმის გამოყენებით. დედა თითი, დედა თითი, სად ხარ?

მოსალოდნელი შედეგები

- კითხულობს, “სად ხარ?”

ძირითადი სტრატეგია

სმენითი დასრულება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როდესაც ბავშვები ამ სიმღერას უფრო გაეცნობიან, ისინი ამოიცნობენ თითოეულ გვერდზე გამეორებას და თითოეული თითის თანმიმდევრობას. ურჩიეთ მშობლებს/აღმზრდელებს, დასვან შეკითხვები და შემდეგ შეწყვიტონ სიმღერა; გააერთიანეთ "მომლოდინეს მზერა" და საჭირო თითის გამოძრავებით მინიშნებები და დაეხმარეთ ბავშვს უპასუხოს კითხვას. ასევე შეგიძლიათ ამ აქტივობას წერა-კითხვაც დაუმატოთ და დაეხმაროთ ბავშვს წერილობითსა და წასაკითხ სიტყვებს შორის კავშირის გაგებაში, ამისათვის მიუთითეთ ტექსტიან ბუშტებზე და სთხოვეთ თითოეულ ბუშტში სიტყვების წაკითხვა (ან დამახსოვრება).

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს, "მე შენ მიყვარხარ".

ძირითადი სტრატეგია

მომიახლოვდი: ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ბავშვთან ახლოს დასხდნენ სიტყვების მე შენ მიყვარხარ წამღერების დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვებია კავშირის დასამყარებლად და შეიცავენ მძლავრ მაღალსეგმენტიან სიგნალებს, რომლებიც ემოციას გამოხატავს. ჩვემ გვესმის სიყვარულის შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. მამა თითი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაასტეპლერეთ ერთმანეთზე წიგნის დასამზადებლად.

რესურსები

- ჩემი ოჯახი დ1 დ2 დ3 ა4
- სტეპლერი და შავი ფლომასტერი

თქვენ ერთად უნდა დაამზადოთ წიგნი და შემდეგ იმღეროთ სიმღერა.

1. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე.
2. აჩვენეთ როგორ ჰგავს წიგნში არსებულთან.
3. დახატეთ თვალები და პირი ბავშვის მარჯვენა ხელის თითზე, შემდეგ გადაიყვანეთ თითიდან ნახატი წიგნის პირველ გვერდზე მოცემულ იგივე თითზე. დაარქვით მას მამა თითი.
4. წაიკითხეთ სტრიქონები პირველ გვერდზე, ნახატებზე და ბავშვის თითებზე მითითებით.
5. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მარჯვენა ხელის დანარჩენი თითებისთვის, დახატეთ სახეები და გადაიყვანეთ თითოეულ გვერდზე შესაბამის წრეზე; შემდეგ წაიკითხეთ ტექსტები.
6. როდესაც დაასრულებთ წიგნის აწყობას, იმღერეთ სიმღერა და აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა დაიჭიროს მარცხენა საჩვენებელი თითი, როგორ უნდა აქანაოს ან დახაროს იგი და დასვით წიგნის ყოველ გვერდზე მითითებული შეკითხვა. შემდეგ, პასუხის გასაცემად გამოდის მეორე ხელი, რომელიც სწორე თითს აჩვენებს. შემდეგ საჩვენებელი თითი იხრება და პასუხობს: "მე შენ მიყვარხარ". იპოვნეთ სიმღერა "მამა თითი" მისი მელოდიის გასაგებად.

მოსალოდნელი შედეგები

- უერთდება სიმღერასა და თითების თამაშს

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: კითხვებს სხვადასხვა მაღალსეგმენტიანი სიგნალი აქვს, ხოლო რიტმისა და ინტონაციის ცვლილებები ამ მარტივ სიმღერაში შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებების საჩვენებლად. ასწავლეთ მესამე დონეზე მყოფ ბავშვს, როგორ უნდა შეუსაბამოს ტონისა და რიტმის ცვლილებები ერთმანეთს ბუნებრივი ჟღერადობისთვის.

აკუსტიკური აქცენტირება: მსგავსი საბავშვო სიმღერები მელოდიისა და გამეორების გამო შეიცავენ ბევრ აკუსტიკურ აქცენტებს. დაეხმარეთ ბავშვს ოჯახის წევრების სახელების ამოცნობაში მათზე ცალკე ყურადღების გამახვილებით და ოდნავ ხმამაღალი ხმის გამოყენებით. დედა თითი, დედა თითი, სად ხარ?

მოსალოდნელი შედეგები

- კითხულობს, (სახელი) + “სად ხარ?”

ძირითადი სტრატეგია

სმენითი დასრულება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როდესაც ბავშვები ამ სიმღერას უფრო გაეცნობიან, ისინი ამოიცნობენ თითოეულ გვერდზე გამეორებას და თითოეული თითის თანმიმდევრობას. წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, რომ იმღეროს ერთი გვერდი, შემდეგ კი ნახოს, შეუძლია თუ არა ბავშვს შემდეგი გვერდის დამოუკიდებლად შევსება. ასევე შეგიძლიათ ამ აქტივობას წერა-კითხვაც დაუმატოთ და დაეხმაროთ ბავშვს წერილობითსა და წასაკითხ სიტყვებს შორის კავშირის გაგებაში, ამისათვის მიუთითეთ ტექსტიან ბუშტებზე და სთხოვეთ თითოეულ ბუშტში სიტყვების წაკითხვა (ან დამახსოვრება).

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს, "მე შენ მიყვარხარ".

ძირითადი სტრატეგია

მომიახლოვდი: ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ბავშვთან ახლოს დასხდნენ სიტყვების მე შენ მიყვარხარ წამღერების დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვებია კავშირის დასამყარებლად და შეიცავენ მძლავრ მაღალსეგმენტიან სიგნალებს, რომლებიც ემოციას გამოხატავს. ჩვემ გვესმის სიყვარულის შესახებ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მამა თითი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მამა თითი





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მამა თითი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მამა თითი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მამა თითი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00371 1.0